ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №66182

ნომერი: AR125615

თარიღი : 24.02.2012

გაცემის თარიღი : 01.03.2012

გაცნობის თარიღი : 01.03.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბელიაშვილის ქუჩისა და მინდელის სახელობის ხიდის გადაკვეთასთან., (ნაკვეთი N1/19) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კობახიძე პ/ნ 01026002441
- თბილისი ზ.ფანასკერტელის ქ. კორ. 17 ბ. 12

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ:

ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი განთავსებულია ქალაქისათვის ერთ–ერთ ცენტრალური მაგისტრალზე, ქალაქგეგმარებით კარკასზე, განსაკუთრებული სამშენებლო რეგულირების ზონაში, რომლის ფარგლებშიც განთავსებული ნებისმიერი ობიექტის არქიტექტურული გადაწყვეტა, ესთეტუკური თვალსაზრისით უნდა ხასიათდებოდეს მაღალი მხატვრული მონაცემებით, ღობის მოწყობისათვის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია იერსახის გაუმჯობესების მიზნით მოხდეს მისი ხელახალი გადამუშავება საპროექტო ღობის მოწყობა განხორციელებული იქნას მსუბუქი ტიპის, დეკორატიული, თანამედროვე დიზაინის, მაღალ ხარისხიანი მასალისგან დამზადებული ღობე), რაც შეეხება საყარაულო ჯიხურს, მისი განთავსება მოხდეს ნაკვეთის სიღრმეში, ისე რომ ქუჩიდან არ იყოს აღქმადი.

ასევე გაითვალისწინეთ შემდეგი:
1. "არსებული სიტუაციის ფოტოსურათები"-ს გრაფაში ატვირთულ იქნას შორი მანძილიდან, ბელიაშვილილის ქუჩის მხრიდან რამოდენიმე რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათები.
2. "ფოტომონტაჟი"–ს გრაფაში ატვირთულ უნდა იყოს ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ახალი ფოტომონტაჟები (გაბარიტული ზომების და მოსაპირკეთებელი მასალის დეტალური მითითებით), რომელიც დამუშავებული იქნება ასევე შორი მანძილიდან გადაღებულ ფოტოსურათებზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.